გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


ტფილისი, 4 აგვისტო

ამ ერთის თთვის წინად ჩვენ ვუამბეთ მკითხველებს, თუ რა ღონისძიებას ხმარობს ევროპის სხვა-და-სხვა მმართებლობა მეურნეობის წარსამატებლად, რა რიგად უწყობს ხელს მეურნე ხალხის ოჯახობას. მოხსენებული იყო, რომ დაწინაურებულს ქვეყნებში მმართებლობას დაქირავებული ჰყავს მეურნეობის მცოდნე კაცები, რომლებიც სოფელ-სოფელ დადიან და ხალხს ატყობინებენ ყოველ გვარს საჭირო სამეურნეო ცნობასა და საშუალებას, თვალ-ყურს ადევნებენ ყოველ გვარს სენსა და მტერს, რომელიც მოსავალს მუსრს ადენს და სხვა. ამ საგნისათვის მმართებლობა ხარჯსა და ცდას არა ჰზოგავს და ეს არის იმისი მიზეზი, რომ ევროპაში მეურნეობა საკმაოდ მაღლა სდგას და მუშა ხალხი ეკონომიურად შედარებით შეძლებულია.

ამავე გზას დასდგომია ეხლახან რუსეთის მმართებლობაც. ამ დღეებში გამოაცხადეს სახელმწიფო საბჭოს აზრი, რომლის ძალითაც სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება ეძლევა სხვა-და-სხვა ღონისძიება იხმაროს მეურნეობის წარსამატებლად. სამინისტრომ უნდა დაიქირავოს მცოდნე კაცები, რომლებმაც ყოველ გვარი საჭირო ცნობა უნდა შეჰკრიბონ მეურნეობისა და ოჯახობის შესახებ და წარუდგინონ მთავრობას. ისინივე დავალებულნი არიან აუხსნან მცხოვრებლებს, თუ როგორ უნდა აწარმოვონ ოჯახობა, და ამას გარდა უნდა გამართონ ხოლმე საჯარო ლექციები მეურნეობის თაობაზე. აგრეთვე თვალ-ყური უნდა ადევნონ სხვა-და-სხვა მწერსა და შეებრძოლონ, როცა სადმე გაჩნდება და სხვ. და სხვ.

ეს განკარგულება სახელმწიფო საბჭოსი მეტად საგულისხმო და საყურადღებოა, მით უფრო, რომ დღემდე მეურნეობას ნაკლებად ადევნებდნენ თვალ-ყურს და მუშა ხალხს-კი სამეურნეო ცოდნისა არა გაეგება-რა, რის გამოისობითაც ხალხის ეკონომიური მდგომარეობა თანდათან უკან-უკან მიდის, რადგანაც ხალხს მოხერხება არა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს სხვა-და-სხვა გარემოებას, რომელიც იმისს ვითარებას სჩაგრავს...

ხსენებულს განკარგულებას მით უფრო მომეტებული ყურადღება უნდა ვათხოვოთ, რომ ჩვენი ცხოვრება მარტო მეურნეობაზეა დამოკიდებული... სამწუხაროდ, ჩვენი მეურნეობა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თან-და-თან სუსტდება; ამ გარემოებას შეიძლება წინააღმდეგობა გავუწიოთ სხვათა შორის სამეურნეო ცოდნის გავრცელებით. ამიტომაც სიხარული გვმართებს, რომ სახელმწიფო საბჭომ ეს საყურადღებო განკარგულება მოახდინა.

ხოლო აქ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. ქართველს ხალხს, თუმცა იმისი ოჯახობრივი მდგომარეობა შესამჩნევად დაქვეითებულია, დიდ-ძალი გამოცდილება და საპრაქტიკო ცოდნა აქვს ნაანდერძევი წარსულის დროიდგან. ჩვენებური ოჯახობა განსაკუთრებულის ფერისა და ხასიათისაა და ამას თავისი საბუთი აქვს. თუ გვინდა, რომ სამეურნეო მეცნიერებამ ხელი მოუმართოს ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას, უსათუოდ საჭიროა ჩვენი დღევანდელი ვითარება გამოიკვლიონ და იმას შეუფერონ სამეურნეო ცოდნა. უარყოფ იმისი, რაც ხალხს საუკუნეთა განმავლობაში შეუმუშავებია, მეტად მავნებელი იქმნება მეურნეობისათვის. არა ერთი და ორი მაგალითი გვინახავს, რომ როცა ყურადღება არ უთხოვებიათ ადგილობრივის ოჯახობისა და მეურნეობის ბუნებისათვის, იქ ახალსაც ვერ მოუკიდნია ფეხი... ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ხელთნაწერი „სიბრძნე ბაჰლავარისა“, რომელიც დაფქიაანთ შესწირეს «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» და რომლის გამოც ნ. მარის წერილი იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი, გადაწერილი ყოფილა მელითაურიანთ ხელ-ნაწერიდამ. მელითაურიანთ ხელ-ნაწერი-კი, როგორც ამბობენ, ბატონიშვილების ნაქონია. ერთი მელიაურთაგანი ბატონიშვილების კარის მღვდელი იყო.

*** ერთს ყმაწვილს კაცს, რომელიც თელავში სცხოვრებს, სახელდობრ ვ. ბარნოვს, გადმოუთარგმნია ფრანგულიდამ დიუბუა დე-მონპერეს თხზულების პირველი ტომი. დიუბუას თხზულება ექვს ტომად არის, შეეხება კავკასიის ისტორიასა და არხეოლოგიას და ფრიად ძვირფასი მასალაა ჩვენთა მეისტორიეთათვის. სასურველია, რომ ამ თარგმნილს პირველს ტომს დამბეჭდველი გამოუჩნდებოდეს. მთარგმნელს განზრახვა აქვს შემდეგი ტომებიცა სთარგმნოს.

*** მეორე ყმაწვილს კაცს, სახელდობრ თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს, დიდი მასალა შეუგროვებია და დაუმზადებია ვრცელი წერილი შემდეგის სათაურით: რა გავლენა ჰქონდათ კათოლიკეთა მისიონერებს მართლ-მადიდებელს ქრისტიანობაზედ საქართველოში.

*** ბ-ნს ვ. ლ. ფორკატის ქალაქის თავთან უკვე გაუთავებია მოლაპარაკება და პირობაც შეუკრავს ქალაქის ჩირაღდნებით გაჩაღების თაობაზე, რომელიც ნარდად აუღია 17,500 მან. თვითონ ფორკატი გუშინ პეტერბურგში გამგზავრებულა ზოგიერთ მასალების ჩამოსატანად.

*** გუშინ-წინ საღამოზედ შემდეგი ამბავი მოხდა: წყაროს უბანში მდგარა ერთი მოსარეცხე რუსის დედაკაცი, არა დიდის ხნის ქვრივი, რომელსაც ჰყოლია სატრფო, ბუხრებისა და ღუმელების მკეთებელი. აგერ სამს დღეზე მეტია, რაც ეს ვაჟბატონი დაიარება თურმე იმ დედაკაცის სახლში და ლოთობენ განუწყვეტლივ. თანაც უსიამოვნება და ჩხუბი მოსდით ერთმანეთში. ამ მოსარეცხე დედაკაცს ჰყოლია ერთი 13—14 წლის ქალიშვილი და სულ ამის გამო მოსდიოდათ თურმე უსიამოვნება. ამას წინად პატარა ქალი გაქცეულა მეზობლისას და მორიდებია თავისის დედის საძაგელს საყვარელს. დედას ბავშვი გამოუყვანია მეზობლის სახლიდგან და ძალზე ნასვამს იმდენი უცემნია, რომ ბავშვი სიკვდილის პირამდე მიუგდია. პოლიციელებს წაურთმევიათ ნაცემი ყმაწვილი და წაუყვანიათ სამკურნალოში, სადაც რამდენისამე ხნის შემდეგ კიდეც გარდაცვლილა.

*** „სემეინი“ ბაღის საოპერეტო დასის ანტრეპრენიორს, ბ-ნს ტორლეცკის, თავი დაუნებებია ანტრეპრენიორობისათვის. დასს ეხლა ამხანაგობა შეუდგენია.

*** ამ უკანასკნელს ხანებში ტფილისი თითქოს საქორწილოდ ემზა-

# ფელეტონი

## მეფის ასული მიმი და იმისი მიჯნურნი

ჟულ ლემეტრისა.

(ფრანგულიდამ)

...ამ ნაირად ცენდრილიონი მეფის მემკვიდრეს შეუუღლდა.

რამდენისამე თთვის შემდეგ მეფე მოკვდა და იმის მაგივრად ტახტზე იმისი შვილი (ცენდრილიონის ქმარი) ავიდა.

ცენდრილიონს ეყოლა ასული, რომელსაც სახელად მიმი დაარქვეს. ბუნებამ მიმი საუცხოვო სილამაზით დაასაჩუქრა. იმისი სილამაზე მზეს სინათლეს უკრთობდა და ბნელს ღამეს ნათელსა ჰფენდა. იმისი პირი-სახე გაფურჩქვნილი ვარდი იყო, და ყურყუმსებრ რბილი, ყირმიზი და გრძელი თმები მზის სინათლეზე ოქროს ფერად უბრჭყვიალებდა. გარეგნულ სიტურფესთან გონებითის სიტურფის პატრონიც იყო.

თხუთმეტის წლისა შეიქმნა და უნდა გაეთხოვებინათ: ასეთი იყო ამ სახელმწიფოს ადათი.

მაგრამ, რადგან მიმი დედათა სქესისა იყო, მარტო ერთი ქმარი უნდა ჰყოლოდა.

ხოლო მეზობელს სახელმწიფოებში მარტო ორი სამეფო კაცი იყო:

თავადი პოლიფენი [1]), მიმიზე შვიდჯერ დიდი, და თავადი პუსე [2]), მიმიზე შვიდჯერ დაბალი.

ორივეს მიმი გაგიჟებით უყვარდათ, მიმის-კი არც ერთი არ უყვარდა, იმიტომ-რომ ერთი ზომაზე დიდი იყო, მეორე-კი ზომაზე გადაჭარბებით პატარა.

მიუხედავად ამისა მამამ თავისს ასულს ერთი თთვე ვადა მისცა ამოერჩია ერთ-ერთი მათგანი. ხოლო თავადებს ნება მისცა, ჩემს ასულს ეარშიყეთო.

ამასთანავე დაადგინეს: ის, რომელსაც მიმი არ ეღირსება, მეორეს — ბედნიერს არას დაუშავებსო.

**

პოლიფენმა აურაცხელის ხარების ჯოგი და ცხვრის ფარა მოასხა, მოიტანა აუარებელი ყველი და ურიცხვი კალათები სხვა-და-სხვა ხილით სავსე და მიმის უფეშქაშა. იმისი ამალა უზარმაზარ მონადირეთაგან შესდგებოდა, რომელთაც ტანთ ნადირთა ტყავები ეცვათ.

ხოლო პუსემ სხვა-და-სხვა ჯიშის ლამაზი ფრინველნი, ოქროს გალიაში დამწყვდეულნი, სურნელოვანნი ყვავილნი და სათამაშოები უძღვნა. თან ხუმარები, ექვნიანი და აბრეშუმის ტანისამოსით შემოსილი მოთამაშენი ახლდა.

**

პოლიფენმა მიმის თავისი ისტორია უამბო:

— ნუ გჯერათ ის უმსგავსო ამბავი, რომელიც ერთმა პოეტმა, სახელად ჰომიროსმა, ჩემზე გაავრცელა. იმის სიტყვით მე ცალ-თვალა ვიყავი, და როგორც თქვენ ხედავთ, არც ერთი თვალი-კი არ მაკლია. მართალია, მას ჟამსა შინა შემთხვევით ადამიანებიც შემომეჭამა, რომლებიც ჩემს კუნძულზე მესტუმრნენ, მაგრამ მე ამ შემთხვევაში უმანკო მტრედი ვარ. ერთი ისა, რომ ისინი ძალიან პატარები იყვნენ, და მეორე ისა, რომ იმათის შეჭმისათვის სინიდისმა იმდენად დამტანჯა, რამდენადაც თქვენ მამითქვენის ტაბლაზე კურდღლის ბაჭიის ძვლის წუწნისათვის სინიდისი გტანჯავსთ ხოლმე. მაგრამ ერთს დღეს ერთმა ბრძენმა, სახელად ულისმა, მითხრა, რომ ეს პატარა კაცები, მიუხედავად თავიანთის სიმცირისა, ჩემებრ ადამიანი ყოფილან და ცოლ-შვილის პატრონნი. ამ ნაირად იმათის შეჭმით იმათის ოჯახის ცოდვას ვიკიდებდი თურმე. მერწმუნეთ, იმ დღის შემდეგ ადამიანის ხორცი არ მიგემნია; სულ ჩემის ჯოგის რძითა და ხორცით ვირჩენ თავს. ამიტომ რომ მე ავგული როდი ვარ, ან თქვენ თითონ არა ჰხედავთ თქვენის ბედნიერის თვალებით, რა გოლიათი და ღონიერი ვარ და ახლად შობილს კრავს-კი ვგევარ.

მედიდურობით პოლიფენმა ის-კი არ გაამხილა, რომ ულისმა ძილის დროს ორივე თვალი გამოსთხარა და რომ ქვეყნიერების ჭვრეტა ერთის ნასწავლის მოგვის მოწყალებით შესძლო.

მიმი-კი ოცნებობდა:

— მაინც, რაც უნდა იყოს, მშიერი არ არის, თორემ ჩემ თავსაც შაქრად შეირგებდა; მაშინ, როცა თავადი პუსე იმდენად პატარაა, რომ იმისს ძვლებს გაუჭირვებლად ჩავახრამუნებდი, რომ მინდოდეს.

**

თავისის მხრით პუსეც მოუყვა თავისს ამბავს:

— ერთს დღეს კუდიანებმა მე და ჩემს ექვსს ძმას ტყეში გზის დაბნევა მოგვინდომეს. მაგრამ აბა ისინი რა შვილები იყვნენ, მე შევეცდინე? ჩემს უკან სულ თეთრ კაჭს ვაბნევდი, რომ მერმე გზა გამოგვეცნო. რაღაც საუბედუროდ დევი შეგვეყარა, იმან აგვწია, თავისს სასახლეში წაგვიყვანა და შვიდნივე ერთ ვებერთელა ლოგინში ჩაგვაწვინა. მე ისე უგუნური როდი ვიყავ, რომ იმისს ეშმაკობას არ მივხდომილიყავ! გავუგე, რომ მეორე დილას სწადდა ჩვენი მირთმევა საუზმედ. ავსწიე და ჩვენს ლოგინში ჩვენს მაგივრად იმისი შვიდნივე ქალიშვილები ჩავაწვინე და ჩვენ-კი ღმერთი ვახსენეთ და მოვკურცხლეთ. მეორე დილას დევის ქალიშვილები ჩვენ გვენაცვალა. მაგრამ მარტო ამას არ დავჯერდით. თან წაღები მოვპარე და ამ წაღებით მეზობელ ხელმწიფისაგან ომის დროს თავს ვიფარავდი. ამ ნაირად ძლიერი და უებრო მეფე გავხდი, მაგრამ ახლა იმათი ტარება მივატოვე, რადგან ფეხები სულ დამიშავა, და ჩემის სასახლის მუზეუმში ვინახავ. კიდევ იმიტომ მივატოვე იმათი ტარება, რომ როცა ისინი გაცვია, ათის ვერსის ოდენა ნაბიჯები უნდა გადასდგა ხოლმე. მიიღეთ მხედველობაში, რომ მე სეირნობა ძალიან მიყვარს და სეირნობის დროს ასეთი სიჩქარე ჯერ არ გაგონილა. თუ გამაბედნიერებთ და ოდესმე ჩემს სასახლეში მეწვევით, უსათუოდ უნდა გიჩვენოთ ეს ვეებერთელა წაღები.

მედიდურობამ პუსესაც სძლია და დაამალვინა, რომ იგი უბრალო და ღატაკის მეშეშეს შვილი იყო. პოლიფენივით ლაპარაკში მართალსაცა და ტყუილსაც ერთად ურევდა.

მიმი-კი აღტაცებაში მოიყვანა თავადის პუსეს მოხერხებულმა ლაპარაკმა.

**

ერთს დღეს პოლიფენი ფეხებ-მოკაკული მიმის ოთახში იწვა. იმავე ოთახში მეორე კაცისათვის ადგილი აღარ იყო, პოლიფენის ტანს ისე დაეკავა იქაურობა. აღალა ბაგენი თვისნი და მიმის დაუწყო ლაპარაკი. იმისი ხმა კაცს გრგვინვას აგონებდა და ფანჯრებსა და თაროებს ნძრევა დააწყებინა:

— მე გონებით უბრალო ვარ, მაგრამ სამაგიეროდ კი ღონიერი და გულ-მართალი ვარ. შემიძლიან უზარმაზარის მთის ფესვიან-ძირიანად მოგლეჯა და ზღვაში გადატყორცნა. ხარს ერთის ჯილვის დაკვრით ვკლავ და ლომნი ჩემის შიშით თრთიან. წამობრძანდით ჩემს ქვეყანაში. იქ გაჩვენებთ ვებერთელა მთებს, რომელნიც განთიადისას ცისფერად იხატებიან, ხოლო საღამოს ხანს ვარდისფერი გადაჰკრავსთ; ნახავთ სარკეთა მსგავსს ტბებს, იქავე იხილავთ ტყეს, რომელსაც დედამიწის გაჩენიდგან ნაჯახი არ მიჰკარებია. სადაც ისურვებთ, იქ წაგიყვანთ. ავალ უმაღლესის მთის კენწეროზედ, მოგიკრებთ ყვავილებს, რომელთა მსგავსით არც ერთ დიაცს გული არ დაუმშვენებია. მე და ჩემი ამალა თქვენი ფეხთა მტვერი და ყურ-მოჭრილი ყმები ვიქმნებით. აგეთის პატარა არსებისათვის, როგორიც თქვენა ხართ, დიდი ბედნიერება უნდა იყოს, როცა გოლიათნი ემსახურებიან; არა ნაკლები ბედნიერება უნდა იყოს, როცა თქვენისთანა სასიყვარულო არსება არის მეფედ, თვითმპყრობელად მთათა და ტყეთა, ტბათა და მდინარეთა, არწივთა და ლომთა.

მიმი ამის გაგონებაზე ცახცახებდა და თანაც კმაყოფილი იყო, მსგავ-

[1]) პოლიფენი—კაცი გოლიათი.

[2]) პუსე—ნეკა.

დებაო, ისეთი ფაცი-ფუცი და მუშაობა სდუღს. აახლებენ სახლების კედლებს, დერეფნებსა და ჭერებს. ამ გაცხარებულს მუშაობაში ხშირად ხარაჩოები ისეა გამართული, რომ კაცს უშიშრად არ გაევლება იმათ ახლო. გუშინ სასტუმრო „პარიჟის“ პირდაპირ ერთს თათარს ისე დაეცა აგური, რომ იქვე ჩააკეცინა ფეხები. საბრალოს თათრული ქუდი რომ არა ჰხურებოდა, ვგონებთ იქავე სულს განუტევებდა. ზოგიერთს ადგილას ისე გულმოდგინედ და გაუფრთხილებლად ჰლებავენ კედლებს, რომ გამვლელ-გამომვლელს წინწკლები ესხმის.

*** 1-ს ამ თთვისას ბ-ნმა ქალაქის ექიმმა რუდკოვსკიმ დაიარა ტფილისის ბაზრები ხილისა და სხვა დუქნების დასათვალიერებლად. ხილის დუქნებში ჰპოვა მრავალი უვარგისი და მავნებელი ხილეული, რომელიც მაშინათვე გადააყრევინა მტკვარში, მაგრამ ზოგიერთი კინტოები და პატარა ბიჭები სცვივოდნენ წყალში და იჭერდნენ ხილეულს.

*** ამ თთვის 3-ს ბ-ნ ლორთქიფანიძეს ჰქონდა დანიშნული თავისს როტონდაში საცეკვაო სალამო სხვა-და-სხვა ნაირ სათამაშოებით, მაგრამ სალამო ქარიანი იყო და ცოტათი გრილოდა კიდეც. ამიტომ ხალხი თითქმის სულ ცოტა დაესწრო, ასე რომ სალამო მოიშალა და სხვა დროსთვის გარდაიდო.

*** თიანეთიდგან გვწერენ, რომ იქ ამ დღეებში დაუწყია მოქმედება სატელეგრაფო სადგურს და მალე ფოსტის სადგურიც გაიმართებაო. ამ მოკლე ხანშივე აქ აპირებენ კნ. ბ. ბარათაშვილის თაოსნობით სატანცაო სალამოს გამართვას ტფილისის მე-2 კლასიკურს გიმნაზიაში ღარიბ კურს-დასრულებულთა სასარგებლოდ.

*** „მშაკს“ სწერენ დ. ონიდგან, რომ იქაური სომხის მღვდელი აგერ სამი თთვე მეტია, რაც ქუთაისში წავიდა და მრევლი უმწყემსოდ დარჩა. ამ მიზეზით ონში მცხოვრებელი სომხები ძალიან დაბრკოლებულნი არიან, რადგანაც საეკკლესიო წესების ამსრულებელი არა ჰყავსთ და ამისთვის იძულებულნი იქნებიან სხვა რჯულის სამღვდელოებას მიჰმართონ. ამ გვარი შემთხვევა კიდეც ყოფილა. ბოლოს გაზეთი სთხოვს სომეხთა სასულიერო, რომ უწყებას ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

# დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ოც-და-თერთმეტს ივლისისას, შუაღამისას, რამდენიმე ავაზაკი ესტუმრა „გორაზე“, არქიელის ქუჩაზე მცხოვრებს მღვდელ-ბლაღოჩინს მამა ილარიონ გერსამიას და კიდეც გამოათხოვეს ამ წუთი-სოფელს. ეს უბედურება ასე მოხდა. 31 ივლისს, როდესაც თითქმის ყველამ იძახშა, ნაშუაღამევის ორს საათზე, მოისმა საზარელი ხმა მღ. ილარიონ გერსამიას ძმისწულისა: „მიშველეთ, მიშველეთ, ბიძაჩემი მოკლეს!“ ეს შესაზარი ძახილი დიდხანს გაისმოდა. როდესაც მეზობლებს გამოეღვიძა და საშველად წავიდნენ, ავაზაკები კიდეც გარბოდნენ და თან რევოლვერს ისროდნენ. მივედით და რა ვნახეთ! მამა გერსამია გადაყრდობია ბალკონის რიკულს და ოხრავს; სისხლი მარცხენა ფერდიდამ გადმოსდის კოკის პირულად. ყველანი თავს ზარ-დაცემულები შემოევესიეთ და გამოკითხვა დავუწყეთ. საბრალომ შემდეგი გვიამბო: „მე და ჩემმა ძმისწულმა ვივახშმეთ და ჩვენ-ჩვენს ოთახში დავწექით. კარები ღია დავტოვე და ლამპარი დაწეული მქონდა. ათი საათი იქნებოდა, რომ დამეძინა; ორ საათს იქით მომესმა ფეხის ხმა, გამომეღვიძა და დავინახე ჩემის საწოლის წინ ოთხი კაცი. ერთმა პირზე დამაჭირა ხელი და მითხრა: დაჩუმდი, თორემ მოგკლავო. მე იმათ დიდხანს ვეტოქე და ბოლოს-კი ერთმა იმათგანმა ხანჯალი ჩამცა მარცხენა ფერდში. ამ დროს ჩემს ძმისწულსაც გამოეღვიძა და იმისს ყვირილზე ავაზაკები გაიქცნენ“. ამ ლაპარაკში ხშირად მისდიოდა გული და ჩვენ ყინვითა და სასუნებელის წამლებით ვაბრუნებდით განსვენებულს. გათენებული არ იყო კიდევ, რომ მოვიდა პოლიცია, ექიმი, პროკურორი და გამომძიებელი. მამა გერსამიას დიდხანს არ უცოცხლია, მეორე დღეს ათს საათზე განუტევა სული.

განსვენებული მღვდელ-ბლაღოჩინი ილარიონ გერსამია ვგონებ ქუთაისის მაზრის სოფ. როხის მცხოვრებელი იყო. თხუთმეტი წელიწადი ლეჩხუმში ბლაღოჩინობდა. ამბობენ, მეტად შრომის მოყვარე, უწყენი და მშვიდი კაცი იყოვო. ამ სამის თთვის წინად ითხოვა განსვენებულმა, რომ მღვდლის ადგილი მიეცათ ქუთაისში; თხოვნამ ტყუილად არ ჩაუარა და მამა გ. ზებედეის ადგილი მისცეს საკათედრო ტაძარში.

ბოროტებას მოკლე ფეხი აბია. შუადღის ორს საათზე გაქაჩულს ორს მკვლელს მთელი ქუთაისი მოსდევდა და გაიძახოდა: „ესენი არიან გერსამიას მკვლელებიო“. კვირა სალამოს წვიმა იყო და მიწა მონამა და მოასველა ამით პოლიციამ ისარგებლა და კვალს გაუდგა. ავაზაკებს იქვე ახლოს დაემტვრიათ წაღებული ორი ყუთი, რომელშიაც ქაღალდები და ოქრო და ვერცხლის ნივთები ეწყო. რაც იყო წაღლით და ყუთის ნამტვრევები დაეტოვებინათ. გაუდგნენ კიდევ კვალს და ნახეს, რომ სოფ. ქვიტირის მახლობლად ოთხი „პატიოსანი“ კაცი მარიამობის მარხვის ორშაბათს მხიარულად ღვინოს შეექცეოდა, ვითომც არაფერი და ვითომც ქათამი დაეკლასთ! მაზრის უფროსის თანაშემწის ბ-ნის ზ. ყიფიანისათვის, როგორც ამბობენ, რევოლვერი უსროლიათ. ქვიტირელები გამოსულიყვნენ და ქვითა და სხვა საშუალებით დაემორჩილებინათ ავაზაკები.

აქვე უნდა ესთქვა შემდეგი: არ ვიცი რა მიზეზია, რომ ეგრე უყურადღებოდ არის დატოვებული არქიელის ქუჩა, რომელიც არა ერთის უბედურების მოწამე არის. მთელს ქუჩაში ერთს ღამის ყარაულს ვერა ჰნახავდით აღრე. შემდეგ ერთი კაცი დანიშნეს და ისიც მარტო ეპისკოპოზის გალავანთან იყო მუდამ. ეხლა, როგორც მითხრეს, აღარც ის არისო. ნუ თუ ესეთს დიდსა და ბნელს ქუჩას სამი ყარაული მაინც არ უნდა ჰყავდეს! რომ მზე ჩავა, ამ ქუჩაში, თუმცა სამი-ოთხი ფარანი-კი ანთია, თვალში ხელს ვერ მიიტანთ, ისე ჩამობნელდება ხოლმე.

სვიმონიკა იმერელი

# ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲰᲘᲞᲜᲝᲢᲖᲔᲓ.

დღეს ორიოდე სიტყვა ჰიპნოტობაზე ვსთქვათ, მით უმეტეს, რომ „Revue des Sciences“-ს უკანასკნელს ნომერში ანრი დე-პარვილი ერთ-ორს ამბავს გადმოგვცემს ამის შესახებ.

ჟიულ ლიეჟუას, ნანსში იურიდიულის აკადემიის პროფესორს, ამ მხრივ უშრომნია და რამდენადმე გამოუძიებია ეს საგანი. ყველამ იცის, თუ რა ადვილია რომელსამე ადამიანს ჰიპნოტის საშუალებით ავაზაკობის ქმნა, რისამე დანაშაულის ჩადენა შთააგონოს კაცმა. ჰიპნოტით დაძინებული და შთაგონებული ადამიანი გაღვიძებისათანავე სასტიკის სისწორით აღასრულებს შთაგონებულს და არხეინად ჰკლავს კაცსა, ქურდობს, საწამლავს აძლევს თავისს მოძმეს. ყველასათვის აშკარაა შედეგი ამ გარემოებისა. ერთი ადამიანი განიზრახავს დანაშაულს, ხოლო სხვისი, უდანაშაულოს ხელები აკეთებს. ვინ გამოიცნოს ნამდვილი, ჭეშმარიტი დამნაშავე?

ვსთქვათ, ქურდობა მოხდა, ან კაცის კვლა. მკვლელი, მპარავი დაპატიმრებულია. ვექილი, რომელსაც დამნაშავის გამართლება აქვს მინდობილი, ამტკიცებს, რომ ამ კაცმა შთაგონების მიზეზით ჩაიდინა დანაშაულიო. იწვევენ ექსპერტებს. ისინიც თავისის მხრივ ჰმოწმობენ, რომ დამნაშავის ჰიპნოტით დამორჩილება ყოვლად ადვილია და ყველას როგორც უნდა, ისე ამოქმედებსო. ხოლო ექსპერტთა მოვალეობა ჯერ ამით სრულიად არა აქვსთ თავიდგან აცილე-

რაღ პაწაწკინტელა მეფისა, რომელიც ჰგრძნობს, რომ ვებერთელა კაცის თათებშია მომწყვდეული და იმავე დროსვე იცის, რომ ამ თათების პატრონი იმას გაგიჟებით აღმერთებს და იმისს წინაშე მუხლებს იდრეკს.

**

პუსე-კი მიმის კალთაში უჯდა და თავისს პატარა ზარივით წკრიალა ხმით თავისს საყვარელს ასე ეუბნებოდა:

— ყურად იღეთ ჩემი რჩევა: მე ამომირჩიეთ, ხომ ჰხედავთ ქვეყანაზე რა მცირედი ალაგი მიკავია! ჩემისთანა კაცუნას, რაც გნებავსთ, იმას უზამთ. გარწმუნებთ, თქვენის რიგისამებრ შესაყვარებლად ნიჭი მექნება. ერთს სიტყვას ათასს ნაირს კილოზე გეტყვით, და, მისდა მიხედვით, დაღვრემილი იქმნებით თუ მხიარული, მოხერხებ მექმნება დაფარული გრძნობა თქვენის გულისა ნაირ-ნაირის ალერსით დავაკმაყოფილო. ადამიანს რაც-კი რამ გამოუგონია ცხოვრების, რაც შეიძლება, მხიარულად გასატარებლად, არაფერს მოგაკლებთ. თვალთა წინ სასიამოვნო სანახავის მეტი არა წარმოგიდგებათრა; სხვა-და-სხვა ძვირფასი ფარჩეულობა თქვენი საკაბე იქნება, საუკეთესო ნახატები თქვენს თვალებს დაატკბობს; მუშკნი და ვარდნი თქვენ საყნოსველად აუარებელი მექმნება; მოგითხრობთ სხვა-და-სხვა სასაცილო ამბებს და თქვენს წინაშე წარმოვადგენ საუკეთესო კომედიებს, ვიცი მღერა, სტვირზე დაკვრა და ლექსების წერაც. ჩემის ფიქრით, ის უფრო სასიამოვნოა კაცმა ნანახი და გაგონილი ჰარმონიულად გამოხატოს, ვიდრე გადალახვება ნაკადულებისა; სიტყვების შენს ნებაზე ხმარება ლომის დამორჩილებაზე უფრო ძნელია; უფრო ძნელია თავისის ნიჭით დამშვენება ცხოვრებისა, ვიდრე უზარმაზარის მთის ფესვ-ძირიანად მოგლეჯა და ზღვაში გადატყორცნა.

მიმიმ ჩაიღიმა, თითქოს პუსეს ჭიკჭიკმა იმისი სმენა დაატკბოო.

**

ერთს დილას მიმიმ ორსავე თაყვანის-მცემელს უთხრა:

— გთხოვთ ორივეს, რამე ლექსი დამიწეროთ.

თავადი პუსე უცბად წამოხტა, თავისებრ პაწაწა ლექსი შესთხზა და წაუკითხა:

მეც მეფე ვარ
(ყველამ იცით),
პატარა ვარ,
მზომენ ნეკით.

—

არც სისქე მაქვს,
არც სიმაღლე,
დღეს-კი მაინც
არ შევნატრებ!

—

დააცქერდით
წვიმის ცვარსა,
შიგ იხილავთ
ცის სურათსა.

—

პატარაა
წყაროს წყალი,
მით-კი სცოცხლობს
მთა და ბარი.

—

სუსტი, ნაზი,
პატარა ვარ.
მიყვარს... და მით
ძლიერი ვარ!

—

— უკეთესი არ შეიძლება!—ქება შეასხა მიმიმ, როცა მოუსმინა. მიმის თავი მოსწონდა სიყვარულით ამისთანა პაწაწა კაცისა, რომელიც ავეთის სიადვილით სიტყვებს ერთმანეთზე აბამდა.

— ჰერიჰაა! წამოიძახა პოლიფემმა: ავეთის პატარა ლექსის დაწერა დიდ რამეთ მიგაჩნიათ თუ?

— აბა, თუ ადვილია, სცადეთ! უთხრა პუსემ.

**

გოლიათმა მთელი დღე თავი იმტვრია, მაგრამ ვერა გააწყო-რა. დროგამოშვებით შუბლში ჯილვს იცემდა გაბრაზებული, მაგრამ თავიდამ ვერა გამოსწურა-რა. უკვირდა და ბრაზდებოდა, რომ ვერ გამოეხატა ის, რასაც ისე ღრმადა და ძლიერად ჰგრძნობდა. ეს უსამართლოებად ეჩვენებოდა, გაშეშდა კაცი, ხახა ნახევრად-დაღებული დაურჩა, თვალები აემღვრია. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, რის ტანჯვის შემდეგ, როგორც იყო, ღმერთმა მოხედა და დღის მიწურულზე მიხვდა, რომ „მთვარე“ და „შემიბრალე“ რითმად ერთმანეთს ეწყობა. რამდენიმე საათიც გავიდა. მერმე მიმისთან მივიდა და ახარა:

— შევთხზე ლექსი.

— აბა! უთხრა მიმიმ.

— აჰა,

ლამაზი ხარ, როგორც მთვარე.
გეფიცები, მიყვარხარ, შემიბრალე.

მიმიმ ხარხარი მორთო.

— ცუდი ლექსია თუ? ჰკითხა პოლიფემმა.

პუსემ კი არ იცოდა, სიხარულით რა ექმნა.

— ასე ძნელიც არ იყო, უთხრა პუსემ პოლიფემს: შეგეძლოთ მარტო ასე გეთქვათ:

შენ, პატარას, ეს ძლიერი ქვეყანა დაგიჭერია;
ყველა გალობს შენს სიტურფეს, ყველგან შენი სახელია.

ან ასე:

თურმე დევსაცა ძლიერსა მოერევა სიყვარული,
შეიყვარებს... და უეცრად დაუდნება ტანი, გული.

ან კიდევ ასე:

პატარავ, ლამაზო ქალო!
მუხლამდის რომ ვერც კი მწვდები,
რა მიყავ, რა მიჟადოვე,
რომ ვერ გავდები, ცოცხლივ გსდნები?

ან თუ გნებავთ:

ორის სიტყვით მოგახსენებ, ჰე სატრფოო, ამ ამბავსა:
მუხა იყო, ცას სწვდებოდა, შესცქეროდა ნორჩსა ვარდსა.

— თაყვანსაცემი რამ არის, სთქვა მიმიმ.

ამის გაგონებაზე პოლიფემის თვალებიდგან კვერცხის ოდენა ცრემლი ჩამოვარდა. ქალმა ეს შეამჩნია, რა თქმა უნდა პოლიფემმა ისეთი დაღვრემილი სახე მიიღო, რომ მიმის შეეცოდა. ამ დროსვე ჰხედავდა, რომ პუსე თავის ნიჭს ცუდად ხმარობდა და საწყალს პოლიფემს აბუჩად იგდებდა. ასე თუ ისე ეს იმის ავ-ყულობას მიაწერა. ხოლო პოლიფემის გულ-კეთილობამ მიმიზე ძალიან იმოქმედა და თავისს თავს ეუბნებოდა:

— პოლიფემმა თავისს მოწინააღმდეგეს ერთი რომ შეუბეროს, ცხრა მთას იქით გადაჰკარგავს, შეუძლიან ჯიბეში ჩაისვას. რაიცა მე შემეხება, მართალია, პუსეზე დიდი ვარ, მაგრამ პოლიფემს მაინც შეუძლიან ხელზე დამისვას და რაც სწადიან, ის ჩაიდინოს. რა თქმა უნდა, დიდ სულოვანი უნდა იყოს, რომ არას გვიბედავს.

მერე პოლიფემს მიუბრუნდა ნუგეშის საცემლად:

— სასოს ნუ წარიკვეთთ, ჩემო მეგობარო. თქვენი ლექსები თუ კარგები ვერ გამოდგა, თავ და თავს ღირსებას მოკლებული არ არის: იმათში ნათლად იხატება, რაც გულში გაქვსთ.

— სადაური ლექსებია! წამოიძახა პუსემ: პირველი სტრიქონი რვა მარცვლოვანია და მეორე სტრიქონისათვის სამი მარცვალიც მოუმატებია, აბა რა ლექსთ-წყობილებაა?

— ჩუმად, თავადო, ხომ ჰხედავთ ე კაცი უპოეტობის პოეტია.

**

მეფის სასახლე ერთს დიდს წალკოტს შუა იყო აგებული; ამ წალკოტს შუაში ცისფერი მდინარე ჩაუდიოდა. ამ მდინარის შუა ალაგას პატარა თაიგულის მსგავსი კუნძული იყო. კუნძულზე ფერად-ფერად შუშებისგან გაკეთებული პატარა კოხი იდგა. ამ კოხის ხუროთ-მოძღვარს იმისთვის ზამბახის სახე მიეცა. მიმი ამ კოხში ხშირად და მთელ საათობით დროს ატარებდა, რომ დამტკბარიყო მდინარის ჩხრიალით და, ერთობ, ბუნების სიტურფით.

ერთს დღეს მიმი თავისს საყვარელს კოხში წამოწოლილიყო და განისვენებდა, ოცნებობდა, თვალები ოდნავ დახუჭული ჰქონდა და დაბალის ხმით გალობდა. ამ გალობაში კიდეც მიელულა. უცბად შეამჩნია, რომ გარეშემო მდინარე მატულობს, სულ ზევით და ზევით იწევს. ბოლოს ტალღების ხმაურობამ ქალი ფეხზე დააყენა. ფანჯარა გააღო: კუნძულსა და ნაპირს შუა გადებული ხიდი წყალს გადაებრუნებინა და ის-ის არის უნდა წაეღო. ეს კიდევ არაფერი. წყალი კოხშიაც შევარდნას ლამობდა. ქალი შეკრთა და კივილი მორთო.

ნაპირზე მამა, დედა—კნეინა ცენდრი-

ბული. უნდა დაამტკიცონ, რომ ამ შემთხვევაში ნამდვილად სხვისის შთაგონებით არის დანაშაული ჩადენილი და იპოვნონ შთამგონებელი.

პირველში ეს საქმე უველას ადვილად ეჩვენება: დაამინონ ბრალდებული და ჰკითხონ შთამგონებლის სახელი და ვინაობა, იტყვის უველა. ხოლო საქმით-კი ასე არ არის, რადგან შეიძლება შთამგონებელმა აღუკრძალოს შთაგონებულს თავისის სახელისა და ვინაობის გამხელა და იმისი თქმა უბრძანოს, რომ მე თვითონ, ჩემდა თავად ჩავიდინე ჩადენილი და არაის არავერი შთაუგონებიაო. თუ საქმეს ამ გვარი გზა მიეცა, მაშინ ძალიან ძნელია მართლ-მსაჯულებისათვის ჭეშმარიტების გამოცნობა, ხოლო ლიეჟუას ძალიან მარჯვედ აუხსნია ამ სიძნელისათვის და აღმოუჩენია საშუალება, რომლის შემწეობით შეიძლება შთაგონებულს ადამიანს აღმოათქმევინონ შთამგონებლის ვინაობა.

ქ-ნს მ..., რომელიც ჰიპნოტს ადვილად ემორჩილება, ლიეჟუა ამინებს და შთააგონებს, რომ დამბაჩით ბოლო მოუღოს ბ-ნს ო—ს, რომელსაც ჩემზედ რაღაცა ცუდი უთქვამსო. ხოლო გახსოვდეს, რომ ლიეჟუა ამ დანაშაულში არაფერს შუაშია და შენ თითონ ჩაიდინე განრისხებისა და გაჯავრების დროსაო.

ქ-ნი მ.. გაალვიძეს. იმის ახლო სტოლზედ დამბაჩა იდო. ქალმა ბ-ნი ო—ი დაინახა, სტაცა ხელი იარაღს, დაუმიზნა და მოჰკლა იგი, ან წარმოიდგინა, ვითომ მოკკლაო.

ლიეჟუა სთხოვს ამის შემდეგ ექიმს ლიებოს, რომ კვლავ დააძინე ქ-ნი მ..., და თითონ ექსპერტის მოვალეობასა ჰკისრულობს. დაძინებული ქ-ნი მ... ყოველსავე ბრალს თითონა ჰკისრულობს და უარ-ჰყოფს იმ გარემოებას, ვითომ სხვას ვისმე შთაეგონებინოს დანაშაულის ჩადენა. ვერაფრით ვერ უარაყოფინეს, ვერაფრით გადაათქმევინეს, რომ ეს ასეა და არა ისეო.

ლიებო, ლიეჟუას რჩევით, შთააგონებს ხელ-ახლად ქ-ნს მ... შემდეგს: 1) როცა დაინახავთ, რომ აქ შემოვიდა თქვენი შთამგონებელი, ვინც უნდა იყოს, უეჭველად დაიძინეთ ორის წუთის განმავლობაში; 2) ამის შემდეგ თვალ და თვალ დააცქერდით და თვალებს ნუ მოაცილებთ იმ დრომდე, ვიდრე არ გითხრათ, გეყოფათ-მეთქი; 3) წინ დაუდექით და ეცადეთ ამოეფაროთ, თქვენს უკან დამალოთ. ქ-ნი მ... გამოაღვიძეს და რამდენსამე წუთს შემდეგ იმ ოთახში, რომელშიაც ხალხი იყო, შემოვიდა ლიეჟუა. ქ-მა მ..., დაინახა თუ არა ლიეჟუა, მაშინვე დაიძინა ორის წუთით და შემდეგ, გამოღვიძებისათანავე, დაუწყო დაშტერებით ყურება. ლიეჟუა გავიდა მეორე ოთახში, ისიც უკან გაჰყვა; ლიეჟუა დასჯდა, ქ-ნი მ... წინ ამოეფარა და უნდოდა დაემალა თავისს ზურგს უკან. ამ მდგომარეობაში, როგორშიაც ქ-ნი მ... უოფილა, ადამიანს გრძნობიერება დაკარგული აქვს, ნემსითაც სჩხვლეტენ თავსა, ლოყასა და ხელებში, ნიშადურის სპირტს ასუნებინებენ, მაგრამ არაფერსა ჰგრძნობს. ჩვეულებრივს დონეზედ რომ სდგება, ყველაფერი ავიწყდება.

პროფესორს ბერნჰეიმსაც თავისის მხრივ უცდია ეს საგანი ავადმყოფ ჯარის-კაცთან, ამას წინად დაბრუნებულთან ტონკინიდგან. პროფესორს ამ ჯარის-კაცისათვის 5 ფრანკიანი მოუპარვინებია და აღუკრძალავს იმისი თქმა, რომ შთაგონებით ჩავიდინე ქურდობაო.

— რად მოიპარეთ?—ეკითხება მძინარეს.

— კაცი იყო და გუნება.

— პირველად ჰქურდობთ, თუ სხვა დროსაც ჩაგიდენიათ მაგისთანა დანაშაული.

— არასოდეს.

— შთაგაგონეს, რომ მოგეპარათ?

— არა.

— აბა შემომფიცეთ, რომ არავის შთაუგონებიხართ?

— ვფიცავ.

ჯარის-კაცი ამ დროს გამოუღვიძებიათ, კვლავ დაუძინებიათ და უთქვამსთ:

— როცა დაინახავთ იმას, ვინც ქურდობის ჩადენა შთაგაგონათ, მიდით და უთხარით: ძალიან მესიამოვნა თქვენი ნახვა, „მარსელიეზა“ მიმღერეთ-თქო.

ეს ბრძანება სიტყვა-სიტყვით იქმნა თურმე შესრულებული.

წვლილს საგნისას რომ არ გამოვუდგეთ, აქედგან აშკარადა სჩანს, რომ შთაგონებულს შეიძლება შთამგონებლის ვინაობა გამოათქმევინონ, თუ აუხვევენ პირდაპირ იმის გამოწვრილვას, რაც აკრძალული აქვს, და მიხვეულ-მოხვეულად, სიტყვების გადაკვრით გამოჰკითხავენ. მაგალითებრ, მ... აღუკრძალეს შთამგონებლის სახელის თქმა და არცა სთქვა, ხოლო ის-კი ნათქვამი არა ჰქონდა, რომ ნუ შეჰხედავ შენს შთამგონებელსაო, და ამიტომ შეჰხედა.

ამ გვარად შეიძლება შთამგონებლის სიფრთხილეს ათას გვარად გზა აუქციოს ადამიანმა და მოიგონოს ისეთი რამ, რაც შთამგონებელს შთაგონების დროს ფიქრადაც არ გაუვლის. დღეიდგან ვინც მოიწადინებს რაისამე დანაშაულის ჩადენას შთაგონების შემწეობით, შიში სრულიად აცილებული არ არის, შთაგონებული ასე იქნება თუ ისე გამოამჟღავნებს იმისს სახელსა და ვინაობას. ამ გვარად ლიეჟუა იმ დასკვნას დასდგომია, რომ ტყუილია შიში, ვითომ ჰიპნოტის ძალის აღმოჩენით შეიძლება კაცმა ათას გვარი ბოროტება ჩაიდინოს და ამასთანავე ყოველივე სასჯელი აიცილოს თავიდგანაო. როგორც ყოველთვის არის, ისე ამ შემთხვევაშიაც მოხდა, შხამთან ერთად შხამის მკურნელმა მალამოც იჩინა თავი.

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. გაზეთი „Politische Correspondenz“-ი ამბობს, რომ ტყუილია, ვითომ უკვე დაიწყო მოლაპარაკება ბოლგარიის საქმის გამო გერმანიასა, იტალიასა და ავსტრი-ვენგრიას შუაო.

— ამბობენ, რომ ბოლგარიის საქმის გამო კონგრესი იქმნება მოწოდებული ბერლინში. ავსტრი-ვენგრია თანახმაა დასთმოს ზოგიერთი რამ ბოლგარიის საქმეში. მხოლოდ მოლაპარაკება ამ საქმის გამო მაშინ დაიწყება, როცა გერმანიის იმპერატორი და ავსტრი-ვენგრიისა ნახავენ ერთმანეთს ამ მოკლე ხანშიო.

— გერმანიამ უკვე გადასწყვიტა განდევნოს ბოლგარიიდამ პრინცი კობურგისა და ავსტრიაც დაითანხმა ამაზეო.

— ვენიდგან სწერენ დეპეშით გაზ. „Новости“-ს: ხმა ისმის, ვითომ პრინცი კობურგისა სრულიადაც არ შიშობს ბოლგარიის ტახტს დაეკარგავო. პრინცი ძალიან არხეინად არის სოფიაში და ფიქრადაც არ მოსდის, რომ შეიძლება ამ მოკლე ხანში სრულიად გამოეთხოვოს ბოლგარიას. ჯერ-ჯერობით ბოლგარიის საქმის გამო მოლაპარაკება არა დაწყებულა-რა. როცა იმპერატორი გერმანიისა გაათავებს სადარბაზოდ სიარულს, უთუოდ მაშინ დაიწყება ასეთი ლაპარაკი. უნდა ვიცოდეთ, რომ სამთა კავშირი ისევ ისე ძალაშია და გერმანია ბოლგარიის საქმეში ავსტრიის პოლიტიკით იხელმძღვანელებს. ეს ამბავი კარგად იციან სოფიაში და ამიტომ პრინცი კობურგისა სცდილობს განფანტოს ის ხმები, რომ ვითომ იმასა და სტამბულოვს შორის უსიამოვნება ჰყოფილიყოს. პრინცი ამბობს, რომ მე თუ დავსთმობ ტახტს, დავსთმობ მხოლოდ მაშინ, როცა ძალა დიდი ექმნება ჩემს მოწინააღმდეგესაო. თუ არა-და, მეცა და მთელს ბოლგარიის ერსაც გარდაწყვეტილი გვაქვს ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო.

— აი რა უთქვამს ერთს ავსტრიელს პოლიტიკოსს: ავსტრიამ რომ მოინდომოს კიდეც, ჩააგონოს პრინცს კობურგისას და თავი დაანებებინოს ბოლგარიისათვის, მაინც ვერ მოახერხებს ამას. რუსეთი ეძებს აილებს და იფიქრებს, რომ ავსტრია იდუმალს მისვლა-მოსვლაშია ბოლგარიასთანაო.

— ავსტრიაში ამ ზაფხულს ძალიან ცუდი ამინდები დაუჭერია. წყლები ადიდებულა და წაურღვნია მინდვრები. ბევრი ნათესები გაუფუჭებია. აცივებითაც ძალიან აცივებულა. აგარაკებად გასულს ხალხს მეტად გასჭირებია ამის გამო. ზოგან სეტყვა და მერე თოვლიც მოსულა.

---

ლიონი, და თავადი პუსე სასო-წარკვეთილებას მიეცნენ და სამნივე ერთად ხელ-აპყრობით გამჩენს მიმის ხსნას ევედრებოდნენ.

მათდა საბედნიეროდ, უცბად საიდგანღაც პოლიფენი გამოჩნდა. არც შეეშინდა და არც არაფერი, შევიდა მდინარეში, წყალი სარტყელამდინაც ძლივს-ღა ახხამდა. სამი ნაბიჯი გადასდგა და ქოხის წინ გაჩნდა. ქალი ნაზად გამოიყვანა და ნაპირას დასვა.

— ოჰ, ამოიოხრა მიმიმ: რა კარგია, კაცი ღონიერი და ტანით გოლიათი იყო! ან რა მშვენიერებაა, როცა შენს თავს გაჭირებისაგან ამ ნაირად დახსნილსა ჰგრძნობ. ასეთი თუ თან მახლავს, შემიძლიან თავისუფლად და უდარდელად დავიძინო. მე მგონი, ქმრად ამის შერთვა მ იმიხდება,—და პოლიფენს ალერსიანად გაუღიმა. იმისმა ღიმილმა პოლიფენი სიხარულითა და კმაყოფილებით აღავსო. გოლიათს ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

**

მეორე დღეს მიმიმ პუსე ისეთი დაღვრემილი და მოწყენილი ნახა, რომ შეეცოდა და, რომ გულიდგან ყოველივე დარდი აეყარა, უთხრა: მინდვრად გავიდეთო.

ქალს თავისი მიჯნური ხელით მიჰყავდა, თვითონ ნელ-ნელა მიდიოდა, რომ თანამოგზაური არ დაღლილიყო.

გზაზე ცხვრის ფარა შეხვდათ. პუსეს ფერადი ტანისამოსი ეცვა. ერთს ცხვარს პუსეს აჭრელებული ტანი არ მოეწონა, ფარიდამ გამოვარდა, რქები ძირს დაუშვა და პატარა თავადისკენ ისარივით გაემართა.

პუსე საშინელი თავ-მოყვარე იყო და განსაკუთრებით ამ დროს ისეთი სახე მიიღო, თითქოს თვით ლომსაც არ შეუშინდებიო. მაგრამ, როცა ის-ის არის ცხვარი თავადს უნდა შესჯახებოდა, მიმიმ იგი ხელზე აიყვანა და მარდად თავისი გაშლილი ქოლგა ცხვარს თვალებში მიატაკა. ცხვარი იმ წამსვე შეჩერდა, უკანვე გაბრუნდა და ფარაში შეერია.

— კარგი ქნა, რომ გაბრუნდა, უთხრა მიმის ამაყის ხმით პუსემ: ხომ ჰხედავდა, რა გმირულად ვეგებებოდი! შეიძლება იმ საწყალს ეგონა, რომ იმისი მეშინიან! ან თქვენ თვითონ არა ჰხედავდით?

— კი, ჩემო კარგო, ვიცი, რომ ყოჩაღი ხართ, ამას რაღა ლაპარაკი უნდა,—და მიმი ოცნებას მიეცა.

— აჰ, რა მადლია, როცა შენზე სუსტს განსაცდელიდგან იხსნი ხოლმე! რა თქმა უნდა, სუსტი თავისს მფარველს შეიყვარებს, და მეტადრე როცა ის (სუსტი) ამ პატარა კაცუნასავით ლამაზი და ტან-წერწეტაა.

**

სეირნობის მეორე დღეს პუსემ მიმის ერთი თითქმის გაუშლელი ვარდი უფეშქეშა, მაგრამ ისეთი ტურფა და სურნელოვანი იყო, რომ მიმი აღტაცებაში მოიყვანა.

მიმიმ დიდის მოწიწებით გამოართვა და უთხრა:

— ვმადლობთ, ჩემო საყვარელო პატარა თავადო!

იმ დღეს მიმის ისეთი ბრწყინვალე კაბა ეცვა, რომ კაცს ეგონებოდა, პეპლის ფრთებისაგან არის გაკეთებულიო.

— აჰ, რა კაბა გაცვიათ, შემოჰნატრა პუსემ.

— მართლა? თქვენს ვარდსაც შეხედეთ ერთი-და, როგორ მიმშვენებს გულს.

**

— ერთი ვარდი მარტო! ამბობდა თავისს გულში პოლიფენი: რა უნდა იყოს იმისთანა, რომ სიხარულით არ არის? არა, ერთი უნდა ვაჩვენო, თუ რა თაიგულის ძღვნა შემიძლიან!

მაშინადვე ინდოეთში წავიდა, სადაც ერთი უზარმაზარი და აყვავებული ხე გამოსძებნა, რომლის ყვავილები ეკკლესიის დიდ ზარებს დაეტოლებოდნენ. მოგლიჯა ეს ხე ფესვიანძირიანად და ამაყის სახით მიმის მიართვა, რათა დაემტკიცებინა სრული თავისი გულ-მოდგინება.

— რა ლამაზია! უთხრა მიმიმ ღიმილით: მაგრამ, ჩემო საყვარელო თავადო, რა უნდა უყო ამ ხეს, არ ვიცი? მაგით გულის დამშვენება წარმოუდგენელია და თმაში ჩარჭობაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს!

გულ-კეთილი გოლიათი სირცხვილისაგან დაიწვა და არ იცოდა, რა ეპასუხნა. თვალები ძირს დაუშვა. ამ დროს ნახა, რომ პუსეს ტანისამოსი მიმის საკაბე ფარჩიდგან იყო შეკერილი.

— ეჰ! ნაღვლიანად აღმოიხვნეშა.

— დიაღ, მიუგო მიმიმ: ჩემს საკაბეს ნაჭერი მორჩა და იქიდამ ტანისამოსი შევუკერე. ხოლო თქვენ ვერ გეცით აგეთი პატივი, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემი ბრალი არ არის. ის ნაჭერი მარტო თქვენ საყელოსთვისაც არ იკმარებდა.

შემდეგ მამას მიუბრუნდა და უთხრა:

— დრო არის, რათა ჩემი გარდაწყვეტილება გამოგიცხადოთ: ქმრად თავადი პუსე ამოვირჩიე. ამაზე პოლიფენი არ უნდა გამიწყრეს. დარწმუნებული იყოს, რომ დიდი პატივისმცემელი ვარ იმისი და კიდეც ვგრძნობ იმისს მწუხარებას.

პოლიფენმა ისეთ ნაირად აღმოიხვნეშა, რომ მთელი სასახლე შეანძრია. მერე, რადგან პატიოსანი კაცი იყო, პუსეს ზრდილობიანად ხელი ჩამოართვა, რომელშიაც პუსე კინაღამ ჩაირჩო, და უთხრა:

— ძალიან შეეცადეთ თქვენი მეუღლე ბედნიერი გახადოთ და ღმერთმა ორსავე მშვიდობა მოგცეთ.

**

ჯვარის-წერის დღეს მიმი არც მხიარულად იყო და არც მოწყენილი, რადგან თავადი პუსე პლატონურად უყვარდა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სიყვარულის მაგივრად ამხანაგურის გრძნობით იყო გამსჭვალული.

იმ დროს, როცა მაყრები ეკკლესიაში წასასვლელად ემზადებოდნენ, ხმა გავარდა, რომ ვინმე თავადი, სახელად „სატრფიალო“, რამდენისამე წლის მოგზაურობიდგან დაბრუნებულა და იმასაცა სურს ეკკლესიაში ჯვარის-წერას დაესწროსო.

თავადი „სატრფიალო“ გამოჩნდა. სიდიდით მიმიზე ცოტათი მეტი იყო, საოცრად ლამაზი, ახოვანი, წამოსადეგი და დიდის ჭკუის პატრონიც. ერთის სიტყვით, თავადი „სატრფიალო“ მართლა რომ სატრფიალო იყო.

მიმის იგი თავისს დღეში არ ენახა და არც არა სმენოდა „სატრფიალოზე“, მაგრამ ნახვისათანავე ფერი წაუვიდა, შემდეგ ერთიანად გაწითლებულმა, თითქმის თავისდა უნებურად, შემდეგი მოახსენა:

— თავადო სატრფიალო! მე თქვენ გელოდით, მიყვარხართ და ვგრძნობ კიდეც, რომ არც თქვენა ხართ ჩემდამო გულ გრილი. მაგრამ ამ პატარა კაცს პირობა მივეცი და არ ვიცი რა ვუყო, პირობის დარღვევა ძნელია. დაასრულა თუ არა, გული წაუვიდა. პოლიფენი მოდრკა და პუსეს უთხრა:

— პატარა თავადო, შეგიძლიანთ თქვენც იგივე ჰქმნათ, რაც მე ვქენი?

— კი, მაგრამ რომ მიყვარს?

— იმიტომაც გეუბნებით რომ გიყვარსთ.

— ქალბატონო, უთხრა პუსემ მიმის: ეს კეთილი გოლიათი მართალია. მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, რომ ცოლად თქვენის ნების წინააღმდეგ შეგირთოთ. თავადის სატრფიალოს მოსვლაზე ჩვენ წინად არ გვიფიქრნია. ახლა რახან ის გიყვარსთ, გაჰყევით, დამშლელი არავინა გყავსთ.

მიმი სიხარულით ცასა სწვდა, აღტაცებულმა პატარა თავადი აიყვანა, ორსავე ლოყაზე მხურვალედ ამბორი უყო და უთხრა:

— რომ იცოდეთ, თუ რა კეთილს და სამადლო საქმეს სჩადიხართ!..

— გულ-ქვაობა ამაზე მეტი იქნება?—სთქვა ლუღლუღით საწყალმა პუსემ.

— აქ მო, საწყალო პატარა თავადო, უთხრა პოლიფენმა: შენს ხვაშიადს ყველაფერს მე მიამბობ. წავიდეთ აქედგან და შორიდგან მაინც ჩვენი სიცოცხლე მიმის ხსენებასა და ზრუნვაში გავატაროთ.

მერე პუსე მხარზე შეისვა და მოკლე ხნის განმავლობაში ორივენი ცხრა მთას იქით გარდაიხვეწნენ.

ი. სა—კია

## წვრილი ამბები

ამას წინად „Gaulois“-ის ერთს თანამშრომელს ლაპარაკი ჰქონია სარდუსთან ემილ ზოლას კანდიდატობაზედ საფრანგეთის აკადემიაში. გამოჩენილს დრამების მწერალს ამ კანდიდატობაზედ სასაცილოდ უთქვამს: „ჯერ კიდევ დიდი ხანი გაივლის, ვიდრე აკადემია შეუნდობდეს ზოლას ცოდვებს ზრდილობისა და ფრანგულის ენის წინაშეო“. არც დოდეზედ უოფილა კარგის აზრისა სარდუ: „მართალი რომ სთქვას კაცმა, დოდეს ერთი დაუძინებელი მტერი ჰყავს; ეს მტერი, აკადემია-კი არა, საფრანგეთის გრამატიკააო“.

— როგორც ცნობილია, როცა რომელსამე განათლებულს ქვეყანაში მეფე ახლად გვირგვინდება, დიდ-ძალს საჩუქრებსა და მოწყალებას გასცემს ხოლმე. ტაიტის კუნძულზე ჩვეულებად აქვსთ, რომ, როცა მბრძანებელი იცვლება, ზოგიერთი სიტყვები და გამოთქმანი უარ-უოფილ იქმნება ხოლმე და იმის მაგიერად ახალი სიტყვები და გამოთქმანი შემოიღება. არც ერთს ქვეშევრდომს ნება არა აქვს უარ-უოფილი სიტყვები იხმაროს ახალს სახელმწიფოში. თუ მეფე და მბრძანებელი გარდაიცვალა, მაშინ ამ ახალს სიტყვებსაც თავს დაანებებენ და სულ სხვებს შემოიღებენ ხოლმე.

— დედოფალს ნატალიას ისე მოაბეზრეს თურმე თავი სხვა-და-სხვა რეპორტერებმა, თუმცა ყველა ღონესა ჰხმარობდა იმათ თავიდგან ასაცილებლად, რომ, მეტი ღონე არ იყო, პარიჟიდგან მოჰკურცხლა. იქიდგან დედოფალი წავიდა ჰოლანდიაში გაგას, იქნება იქ მაინც მომასვენონ და დამამშვიდონო. ხოლო გზიდგან დასვენება ვერ მოუსწვრია, რომ გამოსცხადებია ამსტერდამის რომელიღაც გაზეთის რეპორტერი. კორრესპონდენტს თავისი მწუხარება გამოუცხადებია მეფე მილანსა და დედოფალს შორის ატეხილის უსიამოვნობის გამო და შემდეგ რამდენიმე რამ უკითხავს. დედოფალს რომ ვერა მოუხერხებია-რა, უთხოვნია, რომ ახლა დაღალულ დაქანცული ვარ, რამდენისამე საათის შემდეგ შემოიარეთ და ყოველსავე დაწვრილებით გიამბობთო. რეპორტერს შეუვლია რამდენისამე საათის შემდეგ, მაგრამ კარების დირეზედაც-კი არ მიუშვიათ.

— თუ დავუჯერეთ ბერლინის „Börsen Courier“-ს სიზენახში ამას წინად ველოსიპედით მისულა ერთი ათის წლის ყმაწვილი, რომელიც მარტოდ-მარტო მგზავრობს მთელს გერმანიაში. პატარა ბიჭი ბრებნიდგან მისულა და მეორე დღეს მაინის ფრანკფურტისაკენ გასწევია. იმ სასტუმროს ახლო, რომლის წინაც ჩამომხდარა ეს მეველოსიპედე, დიდ-ძალი ხალხი შეკრებილა და გაოცებით დაუწყიათ ყურება, ამ პაწია ყმაწვილს მშობლები როგორ უშვებენ და ან თითონ სადა აქვს იმდენი გამბედაობა, რომ ასეთს მგზავრობას შესდგომიაო.

— უმცროსი შვილი იტალიის გმირის გარიბალდისა, მანლიო, უკვე ორი წელიწადია ლივორნოს სამხედრო აკადემიაში სწავლობს. ამ ორის კვირის წინად ამ სასწავლებლის მოსწავლენი გამგზავრებულან იტალიის ოთხ-კუთხივ დასათვალიერებლად და მისულან კატანიაში. კატანიის ყმაწვილ-კაცობამ და სტუდენტობამ განიზრახა თურმე დიდის პატივით დახვედროდა სტუმრებს და რადგან თითონ პირადად არ იცნობდნენ გარიბალდის შვილს, ერთს გემში მყოფთაგანს ჰკითხეს თურმე: თქვენთან არის თუ არა გარიბალდის შვილიო.

„— მერე რად გინდათ?—უკითხავს ყმაწვილს კაცს.

„— ჩვენ მოწადინებულნი ვართ, რომ დიდის ყოფით დავუხვდეთ და პატივი ვსცეთ.

„— სამწუხაროდ, ჩემი ამხანაგი ავად არის და ამიტომ გემიდგან ფეხს არ იცვლის. თუმცა ისიც სათქმელია, რომ არავის ეჩვენება, განვებ, რადგან გმირის შვილია და ჯერ თითონ-კი არაფრით უსახელებია თავი.

მკითხველი ყმაწვილი უკანვე დაბრუნდა თურმე გაცრუებული და ეხლაც ვერ აიღო, რომ ის, ვისაც ელაპარაკებოდა, თითონ მანლიო გარიბალდი იყო, გმირის შვილი.

◆◆

### პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 96 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 161½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 20 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 271 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 251 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
აგვისტო 31 დღით არის.

5 დღე პარასკევი. წმ. ნონნესი, წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველის დედისა. კათოლ. კორსიკანელის ოსვალდისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-9 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—10, ჩადის 6—56. მთვარე 11 დღისაა.

6 დღე შაბათი. ფერისცვალება. კათოლ. ფერისცვალებავე. სომეხ. მოციქ. თადეოზისა და ქალწ. სანდუხტასი. მუსულ. ყურბან-ბაირამი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—54. მთვარე 12 დღისაა.

7 დღე კვირა. ლირსისა დომენტისა. კათოლ. ფაუსტინასი. მუსულ. მე-11 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—12, ჩადის 6—53. მთვარე 13 დღისაა.

8 დღე ოთხშაბათი. კრიტის ეპ. მირონისა. კათოლ. ფიტალისისა. სომეხ. დაწყება ღვთის-მშობლის მიძინების მარხვისა. მუსულ. მე-12 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—13, ჩადის 6—52. მთვარე 14 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

#### ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . 3 | „ |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, №101.


გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი

# მამიდა ასმათი

მოთხრობა
გ. წერეთლისა.
გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საწყობში და ჩარკვიანის მაღაზიაში.

ქართული მწერლობა
(მეჩვიდმეტე საუკუნეში)
ზ. ჭიჭინაძისა.
ფასი 20 კაპ.

ნამდვილი საუნჯეა
ყველასათვის განთქმული წიგნი
თავის მოვლა
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეს წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—30)

დაიბეჭდა და ისყიდება
გაზეთ „მეურნის“ გამოცემა

# ვაზის ობი

(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),
შედგენილი
პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით
გ. ს—შვილის მიერ.
ფასი ორი შაური.

ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა
(Закавказская центральная справочная контора)
შ. ვ. დავიდოვისა.

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც აქვს შეტანილი ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირავოს, ან გააქირავოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).

# კიოლერის ტყის წყალი

ერთად-ერთი საშუალებაა ოთახის დახშულის ჰაერის განსაწმენდად და განსასუფთავებლად.
ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კიოლერთანა და ამხ. ნიკოლსკის ქუჩაზე. 3—2 (ц.)

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. წულუკიძისაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოელენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . . | „ | 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი კასტანგ რეჟულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . . | „ | 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |

ტფილისში
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის წიგნთ-საწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ
შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას“ (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).


Доз. ценз. Тифлисъ, 4-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე